ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "სპარტაკი" (მოსკოვი) - 1:6 (1:2)
24 სექტემბერი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 40 000 მაყურებელი.
მსაჯი ი. გორელკინი (ლენინგრადი).
გოლები: 0-1 სტეპანოვი (25), 0-2 გლაზკოვი (30), 1-2 ანდ. სტაროსტინი (43, ავტო-გოლი), 1-3 გლაზკოვი (56), 1-4 სემიონოვი (58), 1-5 ა. სოკოლოვი (60), 1-5 ა. სოკოლოვი (82).

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე(კ), ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, მინაევი, კიკნაძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"დინამო" (მოსკოვი): ჟმელკოვი, ვიკ. სოკოლოვი, ვას. სოკოლოვი, არტემიევი, ანდ. სტაროსტინი, ტუჩკოვი, სტეპანოვი, გლაზკოვი, სემიონოვი, ა. სოკოლოვი, გულიაევი.

მოსკოვი – თბილისი

24 სექტემბერს ლ. ბერიას სახ. "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მოსკოვის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა მატჩი სსრკ პირველობაზე.

40.000 მაყურებელი დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდების შეხვედრა მეტად საინტერესო სპორტული სანახაობა იქნებოდა, მაგრამ თამაშმა ვარაუდი არ გაამართლა.

თამაში დაიწყო "სპარტაკის" შეტევით. გრძელი და ზუსტი პასებით თავდამსხმელებმა ტემპიანი თამაში განავითარეს. თამაშში ჩაება დოროხოვი, რომელმაც ზედიზედ აიღო რამდენიმე ძნელი ბურთი. "დინამოს" დაცვა და ნახევარდაცვა ვერ ერკვევა მოწინააღმდეგის კომბინაციებში და ხშირად მიუტევებელ შეცდომებს უშვებს. სპარტაკელების შეტევა გრძელდება.

მე-25 წუთზე სტეპანოვმა ბურთი ცენტრიდან მიიღო და 25 მეტრიდან იშვიათი სიძლიერით ტყორცნა "დინამოს" კარის მარცხენა კუთხეს. დოროხოვის ნახტომი ამაო იყო: ბურთი ბადეშია.

პირველ მარცხს დინაომელებმა უპასუხეს... განსაკუთრებით უსისტემო თამაშით. მე-30 წუთზე შავგულიძემ ვერ შესძლო გლაზკოვის დახურვა და "დინამოს" კარის მარჯვენა კუთხის ბადეს მეორე ბურთი მოხვდა.

ტაიმი მიმდინარეობს სპარტაკელების უპირატესობის ნიშნის ქვეშ. "მშრალ" ანგარიშს თბილისმა თავი დააღწია მე-44 წუთზე შემდეგნაირად: პაიჭაძემ ბურთი მიაწოდა ბერეჟნოის, იგი გადის გარღვევაზე, მას უკან მოსდევს სტაროსტინი. კარიდან გამოსული ჟმელკოვი ფეხებში უვარდება ბერეჟნოის. წაქცეულ ბერეჟნოის თავზე დაეცა სტაროსტინი, რომელმაც დავარდნის დროს ბურთი შემთხვევით თავისივე კარში მოათავსა. 2:1 "სპარტაკის" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში "დინამოს" უმწეო და ყოველგვარ სისტემას მოკლებული თამაში სპარტაკელებმა შესანიშნავად გამოიყენეს: ტაიმის დამთავრებამდე დამატებით 4 გოლი გაიტანეს და მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას.

მატჩის საბოლოოო ანგარიშია – 6:1 "სპარტაკის" სასარგებლოდ.

რა შეიძლება ითქვას გამარჯვებულისა და დამარცხებულის შესახებ?

"სსრკ თასის" მომგებმა შესანიშნავად ჩაატარა მატჩი. გუნდის ყოველი რგოლი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთი მეორესთან. ამ თამაშში ჩვენ ვერ ვხედავთ სუსტ ადგილს. სპარტაკელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი თამაში ზოგ მომენტში ძალიან წააგავდა ბასკ ფეხბურთელების თამაშს – განსაკუთრებით ბურთის გადაცემისა და კომბინაციების გათამაშების დროს. ამჟამად გათამაშების ლიდერი "სპარტაკია" და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შემდეგი მატჩების ჩატარება "სპარტაკს" უხდება შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან, ადვილი შესაძლებელია მან მოიგოს ეგრეთწოდებული "დუბლი" – "თასი" და პირველობა.

6:1!

ეს შედეგი არ განსაზღვრავს თბილისის "დინამოს" ძალას "სპარტაკთან" შედარებით. იგი ამდენად სუსტი არაა. მაგრამ საანგარიშო მატჩში მან იმდენად სუსტად ითამაშა, რომ სხვა შედეგი (თუ უარესი არა!) არც შეიძლება ყოფილიყო.

მატჩის მიმდინარეობამ ცხადჰყო, რომ “დინამოს” არ ჰქონდა შესწავლილი მოწინააღმდეგის თამაშის ტაქტიკა და სისტემა. “სპარტაკის” “დუბლ-ვემ” დააბნია თბილისელები, მათ ვერ შესძლეს ამ სისტემის შესაბამისად თამაშის გარდაქმნა. “დინამოს” თავდამსხმელთა არაკომბინაციური და მოკლე პასებით თამაში იყო მიზეზი იმისა, რომ “სპარტაკის” დაცვა და ნახევარდაცვა ადვილად იცავდა თავის კარს.

“დინამოს” ნახევარდაცვა ფეხდაფეხ დასდევდა სემიონოვსა და სტეპანოვს, განსაკუთრებით უკანასკნელს, და როდესაც სემიონოვმა და სტეპანოვმა განზრახ უკან დაიხიეს, ისინი მათ გაჰყვნენ და ღიად დასტოვეს მარცხენა და მარჯვენა გარემარბები, რომლებიც ცენტრიდან მიღებული ბურთებით ადვილად გადიოდნენ გარღვევაზე. საჭირო მომენტში კი “სპარტაკის” ცენტრალური სამეული თავის ადგილას იყო და ადიდებდა ანგარიშს.

სტაროსტინის მიერ დახურულმა პაიჭაძემ ვერ მოისაზრა, რომ სწროხაზობრივი სვლა მას არ გამოადგებოდა და საჭირო იყო გრძელი პასები, “სპარტაკის” დაცვისა და ნახევარდაცვის დაქსაქსვა.

მოკლედ: მოედანზე არ იყო პირველხარისხოვანი ტექნიკით და ტაქტიკით აღჭურვილი, იშვიათი ტემპისა და გამძლეობის მქონე გუნდი – თბილისის “დინამო”. ეს იყო ამ დიდი მარცხის მიზეზი.

ლ. კორდი.
„მუშა“ 29 სექტემბერი, 1938 წ.